



# საშემოსავლო გადასახალის პროტორესული განაკვათის სისტემის აქტუალობა საქართველოში

## რჩეობა

სტატიაში მოცემულია ქვეყნის ეკონომიკური და ამავე დროს სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისთვის აუცილებელი ერთერთი ფუნდამენტური საკითხი - პროგრესული საშემოსავლო გადასახადის სისტემის შემოღება, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული გადასახადის გადამხდელისათვის დიფერენცირებულია გადასახადის განაკვეთი. იგი იცვლება გადასახადით დასაბეგრი მოცულობის ცვლილებებისას, ანუ გადასახადის განაკვეთი იზრდება დაბეგვრის ობიექტის ოდენობის ზრდის შესაბამისად, რაც მეტ შემოსავალს იღებს პირი მით მეტი გადასახადის გადახდა უწევს. ამასთან უნდა განხორციელდეს გადამხდელების გათვითცნობიერება იმ ჭეშმარიტებაში, რომ ამ სისტემის შედეგად საბოლოო ჯამში მხოლოდ დაბალშემოსავლიანი პირები არ იხეირებენ, არამედ მაღალ შემოსავლიანებიც, რადგან თუ ბევრ ადამიანს ექნება მსყიდველობითი უნარი ბაზარზე გაიზრდება საქონელზე/მომსახურებაზე მოთხოვნა, ეს კი აუცილებლად დადებოთად აისახება ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა გამოიწვევს მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ყველაფერთან ერთად სახელმწიფო საწყის ეტაპზევე იხეირებს, რადგან გაეზრდება საგადასახადო შემოსავლები, რაც მისცემს მას საშუალებას, რომ უფრო მეტი რესურსები გაიღოს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და ა.შ. პროექტებზე.

გადასახადების არსის წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან, რადგან სახელმწიფოს არსებობა მოითხოვს ჯარის, პოლიციის და სხვა რიგი საჯარო სამსახურების ფორმირებას და შემდგომ მის შენახვას, რაც დაკავშრებულია დიდ ხარჯებთან. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი სხვადასხვა სახის ბეგარის შემოღების, რითაც დაიბეგრა ქვეყნის მოსახლეობა.

ყველა ქვეყნის საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებ-

ანზორ აბრალავა –  
ემდ, სტუ-ს პროფესორი  
*a.abralava@gtu.ge*

გიორგი ჯაგუანაშვილი –  
სტუ-ს დოქტორანტი

ით, გადასახადის სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშემოსავლებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი, საგადასახადო შედაგათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წლილი ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს შეაქვს. მეორე ადგილზე სოციალური გადასახადებია, შემდეგ არაპირდაპირი გადასახადებია (დღგ, აციზი და ა.შ.) და პირდაპირი გადასახადები (მოგების და ქონების).

საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური უფნების გარდა, წარმატებით უნდა ანხორციელებდეს ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა (საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის შემოსავლების გადანაწილების ფუნქცია) და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთების მარეგულირებელ ფუნქციებს. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებში საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს წამყვანი როლი ენიჭებათ. როგორც წესი ასეთ ბეგარას მიეკუთვნება პირდაპირი გადასახადები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ფართომასშტაბიან საგადასახადო რეფორმას, რომელიც მიმართული იყო გადასახადების სტრუქტურის გამარტივებაზე, პრინციპების სრულყოფაზე. საგადასახადო შედაგათების შემცირებაზე და გადასახადებისაგან თავის არიდების საწინააღმდეგო მექანიზმების შემუშავებაზე, მთლიანობაში კი - საგადასახადო სისტემის ეფექტურობის სრულყოფაზე.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი დაწესებულია მსოფლიოს ყველა ქვეყნაში



და აღნიშნულით იბეგრება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში (დაბეგვრის პერიოდულობა დიფერენცირებულია ქვექნების კანონმდებლობებიდან გამომდინარე) მიღებული ერთობლივი შემოსავლი.

გადასახადებით დაბეგვრის თეორიაში, სხვადასხებ ფაქტორების გათვალისწინებით, საგადასახადო განაკვეთების სისტემები საგადასახადო ბაზის ცვლილებებიდან გამომდინარე არსებობს: პროპორციული, პროგრესული და რეგრესული.

დაბეგვრის რეგრესული მეთოდის დროს სახადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად წარმოებს გადასახადის განაკვეთის შემცირება, ანუ რაც უფრო მეტია შემოსავალი მით უფრო იკლებს გადასახადის განაკვეთი.

პროპორციული დაბეგვრისას თითოეული გადასახადის გადამხდელისათვის თანაბარია გადასახადის განაკვეთი (პროცენტი) და არა თანხა. იგი არ იცვლება გადასახადის დასაბუღრი მოცულობის ცვლილებებისას, ე.ი. განაკვეთის პროცენტი ფიქსირებულია და ის ერთია ყველასათვის.

სწორედ ზემოაღნიშნული დაბეგვრის სისტემა მოქმედებს საქართველოში. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პროპორციული სისტემის დროს მაღალი შემოსავლების მქონე პირები დაბალ შემოსავლიანებთან შედარებით უკეთეს მდგრადარეობაში არიან, რადგან გადასახადი მათთვის ნაკლები წნევია, ვიდრე მცირე შემოსავლიანი მოსახლეობისთვის, რაც აშკარად მიუთითებს სახელმწიფოს ანტისოციალისტურ დამოკიდებულებაზე.

პროგრესული დაბეგვრისას თითოეული გადასახადის გადამხდელისათვის დიფერენცირებულია გადასახადის განაკვეთი. იგი იცვლება გადასახადის დასაბუღრი მოცულობის ცვლილებებისას, ე.ი. არსებობს რამოდენიმე განაკვეთის პროცენტი და ის განსხვავდება გადასახადის გადამხდელებისთვის. უფრო მარტივად რომ ითქვას გადასახადის განაკვეთი იზრდება დაბეგვრის ობიექტის ოდენობის ზრდის შესაბამისად, ანუ რაც მეტ შემოსავალს იღებს პირი მით მეტი გადასახადის გადახდა უწევს. ამ პრინციპის პირდაპირ გამოყენების შემთხვევაში, შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე გადასახადის გადამხდელს გადასახადის გადახდის შემდეგ რჩება ნაკლები სახსრები, ვიდრე გადამხდელს შედარებით ნაკლები სახსრებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფორტის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს დაბეგვრის პროგრესული მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ჰარმონიზებულია დაუბეგვრავი მინიმუმისა და

სოციალური ხარჯების გამოქვითვების სისტემასთან. ამასთან, პროგრესული გადასახადის შემოღების დროს მნიშვნელოვანია გადასახადების ფისკალური და სოციალური სამართლიანობის ფუნქციების შეთანასწორება (მაღალ შემოსავლიანი პირები იხდიან მეტს აბსოლუტური ოდენობის თვალსაზრისით). ამ შემთხვევაში, დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის დაუბეგვრაობა ხელს უწყობს გადახდის უნარიანი მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას. ვინაიდან ასეთი თანხები პირდაპირ ფულის მიმოქვევის არხებში გადადის.

მაგალითად, პირს, რომელსაც აქვს საშუალო ხელფასი და კმაყოფაზე ჰქონდება მეტი შეიძლი და ცოლი, მისი საგადასახადო განაკვეთი ზოგიერთ სახელმწიფოში არის მინუსებში, მაგ. გერმანიაში -2,8%, საბერძნეთში -0,6%; ესპანეთში -3,4%, დიდ ბრიტანეთში -8,7%, უნგრეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში -5,3%, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ ოდენობის სუბსიდიებს დამატებით აძლევს პირს. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში დარიბი მოსახლეობა საერთოდ არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.

საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული სისტემის შემოღება დაუბეგვრავი მინიმუმისა და სოციალური გამოქვითვების თანხლებით გამოიწვევს შესაბამის მასტიმულირებელ მაკროეკონომიკურ შედეგებს. კერძოდ, საგადასახადო ტკირთის სიმძიმის გადაწევა დაბალ შემოსავლიანებიდან მაღალ შემოსავლიანებზე იმ ოდენობით გაზრდის სამომხმარებლო ბაზარს, რა ოდენობის სიმძიმე მოშორდება დაბალ შემოსავლიანთა ფენას. სამომხმარებლო ბაზრის გაზრდა ხელს უწევის საქონელბრუნვის და მომსახურების ზრდას, რაც ირიბი თანმდევი პრინციპით გაზრდის მოგების გადასახადის, დღგ-ის, აქციზის და იმპორტის გადასახადის აბსოლუტურ ოდენობებს. მარტივად რომ კოჭვათ, დაბეგვრის ასეთი სისტემა იქნება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ირიბი სუბსიდირება, რაც გამოიწვევს გადახდის უნარიანი მოთხოვნის ზრდას და რაც მიწოდების ზრდასთან ერთად გააუმჯობესებს ფისკალურ პარამეტრებსაც. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გამოიწვევს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, რაც დადგებით მოვლენად აისახება როგორც საზოგადოების დაბალ შემოსავლიან ნაწილზე, ასევე მაღალ შემოსავლიანებზეც, ხოლო სახელმწიფოს საწყის ეტაპზევე გაეზრდება საგადასახადო შემოსავლები, რაც მისცემს მას საშუალებას, რომ უფრო მეტი რესურსები გაიღოს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და ა.შ. პროექტებზე.



## გამოყენებული ლიტერატურა

- 1) დ. ბახტაძე, რ. კაგულია, მ. ჩიგვილაძე. „საგადასახადო საქმე” თბილისი, 2007.  
2) რ. კაგულია „ფინანსების თეორია” თბილისი, 2004.
- 3) Mof.ge  
4) Rs.ge  
5) Taxinfo.ge

## ACTUALITY OF THE PROGRESSIVE INCOME TAX RATE SYSTEM IN GEORGIA

*ANZOR ABRALAVA - professor of GTU*

*E-mail: a.abralava@gtu.ge*

*BIDZINA JAVSAHNASHVILI -*

*PhD of GTU*

### Summary

This paper is about the country's economic growth and at the same time the state budget revenues necessary for one fundamental issue - the progressive income tax system, which means that each taxpayer has differentiated tax rates. It changes with changes in the taxable amount, the tax rate increases Taxation Object Of Growth. Consequently, the more income has a person the more tax to pay. It should be made taxpayers aware of the truth, that this system is the result in the end only to low-income individuals do not benefit, but highly profitable persons, because if many people would have the purchasing power it will increase on demand of the market for goods / services, and this is definitely a positive impact on the country's economic growth, while GDP growth in incomes of the population will result in the entire country. Above all, the state will benefit from the initial stage, as it will increase tax revenues, which will give him the opportunity to allocate more resources for infrastructure, social, economic, etc. Projects.